572
1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 2 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

თებერვალი
1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ნახატი გ. როინიშვილისა

25 თებერვალი

ჯერ არც გვრიტი მოფრენილა,
არც შოშია ჩანს,
არც მერცხლებით მოფენილა
საქართველოს ცა.

ჯერ ვერ ვხედავთ თეთრი ნუშის,
თეთრი ტყემლის ჯარს,
მაგრამ უკვე გაზაფხულდა —
ხეში წყალი დგას.

ოცდახუთი თებერვალი
გათენდება ხვალ.
თებერვალო, საქართველოს
გაზაფხული ხარ.

თებერვალო, თებერვალო,
გთვლიდნენ ზამთრის თვედ—
და დროშები გაზაფხულის
შენ აღმართე ტყედ.

შენ მოუღე ბოლო ზამთარს
და ქართველის ცრემლს,
აზიარე საქართველო
ოქტომბერს და კრემლს.

არც მერცხალი მოფრენილა,
არც შოშია ჩანს,
მაგრამ ლხვება უკვე თოვლი,
ხეში წყალი დგას.

ოცდახუთი თებერვალი
გათენდება ხვალ.
თებერვალო, საქართველოს
გაზაფხული ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ქ. მახარაძისა

6892

ვასილ კიკვიძე

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციამ რომ გაიმარჯვა, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ბევრი მტერი აღმოუჩნდა. მეფის ყოფილმა ოფიცრებმა და გენერლებმა შეკრიბეს ჯარი და თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. მთელი ხალხი ფეხზე დადგა რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად. ამ სამოქალაქო ომში თავი გამოიჩინეს ისეთმა სახელოვანმა გმირებმა, როგორიც არიან: ჩაპაევი, შჩორსი, ფრუნზე და სხვები. ერთ-ერთი ასეთი გმირი ვასილ კიკვიძეც იყო. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო მისი დივიზია, თეთრები (ასე ეძახდნენ მეფის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს) თავზარდაცემული გარბოდნენ.

ვბეჭდავთ ორ პატარა ნაწყვეტს ვ. დარასელის ნაწარმოებიდან: „კიკვიძე".

ბრიშუტკა

კიკვიძის და ძისი მებრძოლების გმირობას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ყოველდღე დიდძალი ხალხი მოდიოდა და მის დივიზიაში ეწერებოდა, რათა საბჭოების ქვეყანა დაეცვათ.

ერთხელ კიკვიძის რაზმში ჰატარა ბიჭი მოვიდა და განაცხადა, კიკვიძის ნახვა მინდაო.

— რად გინდა კიკვიძის ნახვა? — ჰკითხეს მებრძოლებმა.

— ძინდა ვთხოვო, რომ მეც თავის ნაწილში ჩამწეროს. — ამაყად უპასუხა ბიჭმა.

— რა დროს შენი ომია, ჯერ ჰატარა ხარ! — უთხრეს მებრძოლებმა.

ჰატარა ბიჭს ძლიერ ეწყინა ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი. სწორედ ამ დროს კიკვიძემ ჩაიარა, ბავშვი შეეცოდა და გადაწყვიტა დაეტოვებინა. ოღონდ უნდოდა იოლი სამუშაო გამოენახა მისთვის.

— მაშ, ჩვენთან გსურს დარჩენა? — ჰკითხა კიკვიძემ.

— დიახ.

— ძალიან კარგი, დარჩი, მაგრამ ბრძოლა რომ დაიწყება, არ შეგეშინდება?

— ვის, მე? — გაოცდა გრიშუტკა.

— გამიგონე, გრიგოლ ტარასის ძევ, — დაუყვავა კიკვიძემ, — ჯერ პატარა ხარ, ნამდვილმა მებრძოლმა ცხენის მოვლაც უნდა იცოდეს, მოდი, ჯერჯერობით ჩემს ცხენს მიხედე, კარგი?

— რაო? — შესძახა ბიჭმა, — მე ნამდვილი მებრძოლი მინდა ვიყო.

კიკვიძეს გაეცინა. ცოტა ხნის შემდეგ გრიშუტკამ იკითხა:

— რომელ ცხენს უნდა მივხედო, „შავარდენს?“

— საიდან იცი?

— ვიცი, ამხანაგო უფროსო, თქვენი „შავარდენი“ ვინ არ იცის? სიმღერაც კი დავიზეპირე თქვენზე, — თქვა გრიშუტკამ და სიმღერა წამოიწყო:

კიკვიძე ზის ცხენზედა,
კოხტა შავარდენზედა,
ბრძოლის ველზე გამოსულა
ცხრა ჭრილობით მკერდზედა,
ჩვენმა წითელ-გენერალმა,
გაიმარჯვა მტერზედა.

კიკვიძემ ბევრი იცინა გრიშუტკას სიმღერაზე და იგი თავისი ერთგული ცხენის მომვლელად დანიშნა. ყველა იცნობდა კიკვიძის შავარდენს, რომელსაც თავისი პატრონი არა ერთხელ გადაურჩენია სიკვდილისაგან.

მას შემდეგ პატარა გრიშუტკა აღარ მოშორებია კიკვიძეს.

ერთხელ კიკვიძის დივიზიამ დიდი ბრძოლა გადაიტანა. გამარჯვებულები რომ დაბრუნდნენ, მხოლოდ მაშინ გაახსენდა კიკვიძეს, რომ მთელი დღე არაფერი ეჭამა. დაღლილი მებრძოლები ისვენებდნენ; მარტო გრიშუტკა იყო მის გვერდით. მან ამოიღო თავისი ულუფა და მეთაურს გაუწოდა. კიკვიძემ, ცხადია, არ გამოართვა. მაშინ გრიშუტკამ მაგიდაზე ჩუმად დაუდო საჭმელი და ოთახიდან გაიპარა. კიკვიძემ ეს რომ შეამჩნია, გულიანად გაიღიმა, მხოლოდ ნახევარი შეჭამა და ერთგულ ბიჭს ასეთი წერილი დაუტოვა:

„ჩემო საყვარელო გრიშუტკა! მთელი ულუფა რატომ დამიტოვე? ნახევარი მაინც წაგეღო, — ეს იქნებოდა ძმობა და მეგობრობა. შენი ვასო“.





როგორ მოიტაცეს გენერალი

ერთხელ კიკვიძის წინააღმდეგ კაზაკების დიდი რაზმი გაგზავნეს გენერალ სიტნიკოვის მეთაურობით. თეთრებს ეშინოდათ კიკვიძის დივიზიისა და გადაწყვიტეს მისი საბრძოლო გეგმების შესატყობად თავიანთი მზვერავი შეეპარებინათ მისი ჯარის ნაწილებში. იმ მზვერავს თვითონ გენერალი სიტნიკოვი პირადად არ იცნობდა, მაგრამ ოფიცრებმა დაარწმუნეს, გამოცდილი კაციაო.

კიკვიძის გულადი მებრძოლების მოტყუება არც ისე ადვილი საქმე გამოდგა: მათ შეიპყრეს თეთრების ჯაშუში კაპიტანი და მეთაურს მიჰგვარეს. კიკვიძემ იფიქრა, თეთრებს მათივე ხრიკით მოვატყუებ და რას აპირებენ, იმასაც გავიგებო. მან შეარჩია ორი გამბედავი წითელარმიელი, გადააცვა მათ კაზაკების ფორმა, მკერდზე მეფის ჯვარ-მედლები ჩამოჰკიდა, თვითონ კი დატყვევებული კაპიტნის წითელ ჩოხა-ახალუხში გამოეწყო და თეთრების გენერალ სიტნიკოვის შტაბში გასწია.

ეს დიდი გამბედაობა იყო კიკვიძის მხრივ, რადგან მტრის ბანაკში რომ ეცნოთ, სიკვდილი არ ასცდებოდა.

გენერალ სიტნიკოვს თავი დიდ მთავარსარდლად მოჰქონდა და ყველას არწმუნებდა, კიკვიძის დივიზიას მე გავანადგურებო.

ამ დროს მას მოახსენეს, რომ კიკვიძის დივიზიაში გაგზავნილი კაპიტანი დაბრუნდა და პირადად თქვენი ნახვა სურსო. გენერალმა ყველა დაითხოვა და გადაცმული კიკვიძე დიდი აღტაცებით მიიღო.

კიკვიძემ დაარწმუნა გენერალი, რომ წითლები ძლიერ „დაშინებულები“ არიან და მათი მეთაურიც მალე ხელში ჩაგივარდებათო.

— არა, არა; — უთხრა გენერალმა, — მე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა ის წყეული კიკვიძე ჩემს ხელთ იქნება. ჩვენ მალე უნდა წამოვაგოთ



ხიშტზე კიკვიძე. თუმცა არა, მისი ცოცხლად ჩაგდება უფრო საინტერესოა, კაბიტანო! დიახ, ოქვენ მოიყვანთ მას ჩემთან ხელ-ფეხ შეკრულს.

— ოქვენო აღმატებულებავ, — უპასუხა კიკვიძემ, — არხეინად ბრძანდებოდეთ, კიკვიძე უკვე აქ გახლავთ!

— სად არის? — შეჰკვირა ვენერალმა, — ახლავე აქ მოიგვარეთ!

— ის ოქვენ წინაშე დგას! — უთხრა მშვიდად კიკვიძემ, რევოლვერი ამოიღო და ანიშნა გაჰყოლოდა.

ახლა კი მიხვდა ვენერალი, რაც დაემართა, მაგრამ რადას იზამდა. ხმა რომ ამოეღო, კიკვიძე მაშინვე სულს გააფრთხობინებდა. ამიტომ მორჩილად მოიხურა მაზარა და უხმოდ გაჰყვა უკან. კიკვიძის მხლებლებად გადაცმულმა წითელარმიელებმა კი მოხვეტეს თეორების შტაბის სიიდუმლო საბუთები და უკან გაჰყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ შტაბში დიდი აურზაური ატუდა. მეკვხარა ვენერალი უკვალოდ გაქრა. ბევრი ეძებეს, მაგრამ სად ნახავდნენ?!

ა. ბაბაევა

ნახატები ო. სადიხზადესი

გიულარის დაბადების დღე

გიულარის უფროსი ძმა ქემალი სამხატვრო ტექნიკუმში სწავლობდა.

ერთხელ გიულარი შურით შეჰყურებდა თავის ძმას, რომელიც ფერადი საღებავებით ხატავდა სურათს.

— როცა გავიზრდები, მეც მხატვარი უნდა გამოვიდე.—უთხრა გიულარმა ძმას.

ქემალმა გაიღიმა:

— ეჰ, შე ცრუპენტელა დაიკო! ყოველდღე ახალ-ახალი ფანტაზიები გაქვს... ერთი თვის წინ, როცა საბავშვო ბაღში სიარული დაიწყე, გვარწმუნებდი, რომ აღმზრდელი გამოხვიდოდი; როცა ბებიასთან ერთად თეატრში იყავი, გადაწყვიტე მოცეკვავე გამოსულიყავი! წასულ კვირას, შენ და მამა ცირკიდან რომ დაბრუნდით, გახსოვს, რა თქვი?

გიულარი ჩაფიქრდა.

— არა, არ მახსოვს. ქემალ, რა ვთქვი?

— როცა დიდი, სულ დიდი გავიზრდები, უსათუოდ ლილიპუტი გავხდებიო.

— არა, არა!—დაიყვირა გიულარმა,—აღარ მინდა ლილიპუტობა; მხატვარი მინდა ვიყო! დავხატავ მია სტალინის დიდ, ძალიან დიდ სურათს და საბავშვო ბაღში კედელზე ჩამოვკიდებ.

— კარგი, ეგრე იყოს. აი, ეს შენ,—უთხრა ქემალმა და დაიკოს სახატავი ქაღალდი და ფანქარი გაუწოდა,—გადი იმ ოთახში, ტახტზე დაჯექი და ხატე. მხოლოდ არ ილაპარაკო. ნამდვილი მხატვრები ჩუმად ხატავენ...

გიულარს გაეხარდა, ქაღალდი და ფანქარი აიღო და მეორე ოთახში გაიქცა.

იქ დიდხანს გულმოდგინებით ატარებდა ფანქარს ქაღალდზე და თან თავისთვის ჩურჩულებდა:

— აი, ეს ჩვენი საბავშვო ბაღია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ძაღლი... ეს თამილას დედოფალა... ეს კი ყვავილი...

მაგრამ შავი ყვავილი რომ არ არსებობს?—გაიფიქრა გიულარმა,—ეს უნდა გავაფერადდეს. წავალ ქემალთან და წითელ ფანქარს ვთხოვ.

გიულარი ქემალთან შევიდა, მაგრამ ის ოთახში აღარ დაუხვდა. ალბათ ამხანაგთან წასულიყო.

გიულარი მის მაგიდასთან მივიდა. მაგიდაზე მხოლოდ საწერ-კალამი და მელანი იყო. ზედა უჯრა ოდნავ გამოღებული დარჩენოდა და გიულარმაც ჩაიჭყიტა. შიგ ქემალის ნახატები და რაღაც წიგნები ეწყო. გიულარმა უჯრა ცოტა კიდევ გამოსწია და ქექვა დაიწყო. იმედი ჰქონდა, რომ რაიმე ფანქარს მაინც იპოვიდა. სულ კუთხეში, წიგნების ქვეშ, გრძელი და ბრტყელი კოლოფი დაინახა. გიულარმა კოლოფი გახსნა და ფანქრები გადათვალა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი—ექვსი სხვადასხვა ფერის შესანიშნავი ფანქარი! გიულარმა სიხარულისაგან თვალები მოჭუტა...

ოჰ, ეს ფანქრები რომ ჩემი იყოს!—გაიფიქრა მან,—რა იქნება ერთი ფანქარი რომ ამოვიღო?.. არა, არ შეიძლება!.. მაგრამ მე ხომ მხოლოდ ყვავილს გავაფერადებ და ისევ უკან ჩავდებ.

გიულარს ძლიერ სურდა, რომ მისი ყვავილი წითელი ყოფილიყო და ნამდვილს დამსგავსებოდა.

თუმცა ოთახში გიულარის მეტი არავინ იყო, მაინც მიიხედ-მოიხედა. შემდეგ კოლოფიდან ორი ფანქარი ამოიღო, წითელი — ყვავილისათვის და მწვანე — ფოთლებისათვის.

— კი მაგრამ ცა?—ჩაფიქრდა გიულარი და კოლოფიდან მესამე, ლურჯი ფანქარიც ამოიღო.—მე მათ არ გავაფუჭებ, — დაიმშვიდა თავი გიულარმა, — მხოლოდ ცოტას დავხატავ და ისევ ადგილზე ჩავაწყობ. ქემალი სრულებით ვერ მიხვდება.

გიულარს დიდხანს აღარაფე-

რი ახსოვდა...—მხოლოდ თავის ნახატებს აფერადებდა. ფანქრები ჰატარა ბავშვის ფრჩხილებივით რბილი იყო და წვერი ძალე გაუცვდა; გიულარი მოუხერხებლად თლიდა მათ დიდი სასადილო დანით. ფანქრები ისე დაილია და დაპატარავდა, რომ გიულარს მათი ხელში დაჭერაც ადარ შეეძლო.

ფერადი ფანქრები კოლოფში ვეღარ მოხვდა.

* * *

მთელმა კვირამ გაიარა. დადგა გიულარის დაბადების დღე. მას ექვსი წელი შეუსრულდა.

ბევრი ნაცნობი და ნათესავი ესტუმრა. ყველა ულოცავდა გიულარს და ნაირ-ნაირი საჩუქარი მოჰქონდა მისთვის. გიულარი მეტად ბედნიერი იყო, თავისი მეგობრებისათვის ხელი ჩაეფლო, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და იცინოდნენ.

ბავშვები მაგიდასთან მიიწვიეს. გიულარი ათასნაირი ტკბილეულით უმასპინძლებოდა მათ.

— მიირთვით, მიირთვით, ნუ გეშინიათ, არ გათავდება. იქ კიდევ ბევრია!..—უთითებდა გიულარი კარადაზე, რომლის შორიახლოსაც დედა ფუსფუსებდა.

გიულარის უფროსი ძმა ქემალიც დაბრუნდა სასწავლებლიდან.

— ჩემო დაიკო, მეც მაქვს შენთვის საჩუქარი,—თქვა მან, თავისი ჩანთა გახსნა და მთელი დასტა წიგნები ამოაღაგა, ლამაზები, ჭრელედიანები; ერთი ძათგანი ყველაზე დიდი ჩანდა. ქემალმა ეს წიგნი გადაფურცლა. წიგნის ცალ მხარეს დაბეჭდილი იყო გაფერადებული სურათები: ნავები, ზღვა, სასაცილო ცხოველები, ბავშვები და ყვავილები, ხოლო მეორე მხარეს—იგივე სურათები, ოღონდ გაუფერადებელი.

— აი, შენ სურათებიანი წიგნი გასაფერადებლად. ჩემს დაიკოს ნამდვილი მხატვარი უნდა გახდეს.—მიმართა ქემალმა ბავშვებს.

გიულარმა წიგნს ხელი სტაცა, გულში ჩაიკრა და სიხარულით წამოიძახა:

— დედა, დედა, შეხედე, ქემალმა რა მაჩუქა!

მაგრამ იქვე შეჩერდა და ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— ქემალ, მე ხომ არც საღებავები, არც ფუნჯი და არც არაფითარი ფანქარი არა მაქვს. რით უნდა გავაფერადო ნახატები?

— ამის შესახებ მე ადრევე ვიფიქრე,—ღიმილით მიუგო ქემალმა,—შედი ჩემს ოთახში, მაგიდის მარცხენა უჯრა გამოაღე და იქ შენთვის რაღაცას ნახავ.

გიულარმა კარი შეაღო, მაგრამ უცბად შეჩერდა.

— რა დაგემართა, შედი, გიულარ!—გაკვირვებით უთხრა ქემალმა.

მაგრამ გოგონა ადგილიდან არ დაძრულა, გაწითლდა და თვალები ძირს დახარა.

— შეხედე, დედა, გიულარი როგორი მშიშარა გამხდარა. ჩემს ოთახში მარტო ვერ შესულა. — გაიცინა ქემალმა.

— გიულარი უკვე ჭკვიანი გოგონაა, — უთხრა დედამ, — მან იცის, რომ შენს ნივთებს ხელი არ უნდა ახლოს.

— დღეს ნებას ვაძლევ, — თქვა ქემალმა, — შედი, შედი, დაიკო!

გიულარი ნელი ნაბიჯით შევიდა ქემალის ოთახში. მაგიდის უჯრა გამოაღო და მოგრძო ბრტყელ კოლოფს მალე მიაგნო. მასში მხოლოდ სამი ფანქარიღა იყო — შავი, ყვითელი და ყავისფერი...

გიულარი იდგა და კოლოფს ხელს მაგრად უჭერდა. იგი ისე დანაღვლიანდა, რომ სრულიადაც აღარ უნდოდა თავის მხიარულ სტუმრებს დაბრუნებოდა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ლ. ერაძემ**

რას უზიხარ ნეტავ შინა

ო. კუპრავა

თითქოს ბუხარს მიგაჯაჭვეს,
ყინვამ როგორ შეგაშინა!
კარში გამო, გაისარჯე,
რას უზიხარ, ნეტავ, შინა!

ციგებს ვმართავთ მეგობრები,
ეჯიბრება გოგი ვანოს...
შენ კი ბებოს ევედრები,
თოვლი სახლში მოგიტანოს.

რ. ჩაჩანიძე

ნახატები ნ. მალაზონიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოკოლადი

ეს ამბავი დასავლეთ ავსტრიის ერთ პატარა ქალაქში მოხდა. რასაკვირველია, ამ ქალაქში ბევრი მოსახლეა, მაგრამ მე მხოლოდ ჭერმან შმიდტის ოჯახის შესახებ მინდა გიამბოთ.

გაფუთრებული ომი იყო. ჰიტლერელები ავსტრიიდან გარბოდნენ. ქალაქს ამერიკელები დაეპატრონენ. ამერიკელთა ეუმბარებით სანახევროდ დანგრეულ ბინძურ ქუჩაზე, ერთ პატარა სარდაფთან, ეოველ დილით ნახევდით ეავარჯნებზე დაურდნობილ შუახნის კაცს. ეს ჭერმან შმიდტი იყო.

ჭერმანმა ორივე ფეხი ფრონტზე დაკარგა. დილაადრიან ის ეავარჯნების კაკუნით ამოჭეეებოდა ხოლმე მოღრეცილ კიბეს, დადგებოდა კედელთან და მზეზე ითბობდა სარდაფის ნესტისაგან გაეუნულ გვერდებს.

ჭერმან შმიდტის მეუღლე ტრამვაის პარეში მუშაობდა. ის დილით მიდიოდა სამუშაოზე და ღამით ბრუნდებოდა. მოვიდოდა სახლში, მაგიდაზე დადებდა შაი ჭურის ნატეხებს და დაქანცული მიეგდებოდა.

სარდაფში ისმოდა ნელი ჩურჩული:

— დედა მოვიდა, — თაყს წამოწევდა ძონძებიდან შვიდიოდე წლის ბიჭი არტური. მას მეორეც აჭეეებოდა, — ბიჭზე ერთი წლით უმცროსი გოგონა ეევა.

ბავშვები სარბად ილუკმებოდნენ; თან არ. ივიწყებდნენ არც დაღლილ დედას, არც სეიბარ მამას. მათ ულუფას ხელსაც კი არ ახლებდნენ. გვიანი ვახშმის შემდეგ კვლავ ძონძებში გაეხვეოდნენ და იძინებდნენ.

ერთ დღეს პატარა არტური სარდაფის წინ იდგა. სწორედ იქ, სადაც დაბომბილი სუთსართულიანი შენობის ნანგრევები ეეარა. წვიმდა. ეუმბარებისაგან გადათხრილი ქუჩები ატალახიანებულიეო. არტურმა კარგად დაინახა, რომ ქუჩაში ამერიკელთა მანქანა გაჩერდა. მალე ამერიკელმა ჯარისკაცებმა მანქანიდან რაღაც ეუთების გადმოლაგება დაიწყეს და იქვე, საწუობისაკენ წაიღეს.

არტური ცნობისმოყვარე ბავშვებთან ერთად მანქანასთან ახლოს მივიდა. იმავე დროს ერთი ეუთი მანქანიდან გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოვარდა და ჩამტვრეულ ფიცრებში გამოჩნდა ფერად ქაღალდში შეხვეული შოკოლადები.

არტურმა ნერწყვი გადაყლაპა, უნებლიეთ გაიფიქრა: „ნეტავ ის ახმახი ძია, გატეხილ უთს რომ ეწევა, ისეთი კეთილი გამოდგებოდეს, რომ ერთ შოკოლადს მაინც მოცემდეს“. რარიგ გაიხარებდა მაშინ არტური, იმ წუთში

გაიქცეოდა სახლში, შუახე გადატეხდა შოკოლადს, ნახევარს ევას მისცემდა, ნახევრითაც თვითონ ჩაიტკბარუნებდა ჰირს.

საუბედუროდ, ის ძია ასეთი როდი გამოდგა; ხმამაღლა შეუტია კისერწაგრძელებულ ბიჭებს, უთი ხლახვნით აითრია და წაიღო.

— ეჰ, რა ცუდი კაცი ეოფილა, — ხმამაღლა თქვა არტურმა და ნადვლიანად მიაჩერდა ტალახში ნელა მიმავალ ახმახს, — ნეტავ ერთი ცალი მაინც დაუვარდებოდეს ტალახში, იქიდანაც ხომ ვერ აიღებს?!..

თითქოს არტურს ნატვრა შეუსრულდაო, ახმახს ფეხი დაუცურდა, ეუთი შეინძრა, ორი შოკოლადი გადმოვარდა და ტალახში ჩავარდა.

არტურს ბევრი აღარ უფიქრია და შოკოლადებისაკენ გაქანდა.

ჯარისკაცს აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა. ერთბაშად შემობრუნდა და დაინახა, ბავშვის ჰატარა გამხდარი ხელი როგორ დასწვდა ტალახში ჩაცვენილ შოკოლადებს. ამერიკელმა მძიმედ ასწია მარჯვენა ფეხი და როცა ჰატარა თითები შოკოლადს ჩაეჭიდნენ, ფეხსაცმლის ლანჩაც დაეშვა ხელზე.

ბიჭმა სიმწრისაგან შეჰკვირა, დაკაწრული ხელი ფეხსაცმლის ქვემოდან გამოაძრო. იმავე წუთს მისმა აცრემლებულმა თვალებმა გარკვევით დაინახა, თუ როგორ გასრისა ჯარისკაცის ფეხსაცმელმა შოკოლადები.

ნახატი შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდარი ღარიბი

მონღოლური არაკი

ერთი მდიდარი კაცი მორთულ-მოკაზმულ ცხენზე იჯდა და მოიმღეროდა. გზაზე ღარიბი გლეხი შემოხვდა, რომელიც ხმელა პურს გემრიელად შეექცეოდა.

მდიდარმა დაცინვით გადახედა ჩამოხეულ-ჩამოკონკილ ღარიბს და გადაწყვიტა მასხარად აეგდო.

— ჰეი, ყური მიგდე,—შესძახა მდიდარმა,—შენზე ამბობენ, ჭკვიანი და მოხერხებული კაციაო. აბა, თუ ბიჭი ხარ, ისე მოიქეცი, რომ ცხენიდან ძირს ჩამომსვა!

ღარიბმა ახედ-დახედა თავმომწონე მხედარს, ცოტა დაფიქრდა და უპასუხა:

— აბა, რას ამბობ, ცხენიდან რომ ჩამოგსვა, ამას ვერ შევძლებ, მაგრამ თუ შენ ძირს ჩამოხვალ, ისე მოვახერხებ, რომ მაშინვე ცხენზე შეჯდე.

მდიდარი ცქვიტად ჩამოხტა ცხენიდან და დაელოდა, რას ეტყოდა ღარიბი ისეთს, რომ უმალვე ცხენზე შეესვა.

— აბა, გელოდები,—ვეღარ მოითმინა მან, როცა დაინახა, ღარიბი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და გემრიელად განაგრძობდა პურის ღეჭვას.

— განა ის საკმარისი არ არის, რომ სურვილი აგისრულე და ცხენიდან ჩამოგსვი?—უპასუხა ღიმილით ღარიბმა.

გაწბილებული მდიდარი მიხვდა, რომ მან კი არა, პირიქით, ღარიბმა აიგდო სასაცილოდ, და გაბრაზებული ცხენს შემოახტა.

— აი, ხომ ხედავ, მეორე სურვილიც შეგისრულე, შენ ისევ ცხენზე შეჯექი.—მხიარულად მიაძახა ღარიბმა კაცმა და გზა განაგრძო.

თარგმანი ნ. ოქროპირიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ზელენინაძე

ნახატები ბ. ჩირინაშვილისა

თეთრშუბლა

იმ ჯიხვს, რომლის ამბავსაც მოგიყვებით, შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა. ჯიხვების ჯოგში უსათუოდ გამოარჩევდით მის ქათქათა შუბლსა და მოუვანილ რქებს. ნაკრძალში იყო დაბადებული და გაზრდილი, ამიტომაც იქ ლაღად გრძნობდა თავს. ადამიანები არ ერჩოდნენ; ამ მიდამოებში ნადირის მოკვლა აკრძალული იყო. ამიტომ ერქვა ნაკრძალი; ეს ლამაზი ცხოველები მყოლად თითქმის სულ გაეწვევიტათ მონადირეებს და ახლა ისევ უნდა მომრავლებულიყო. თუ შორიახლოს ჩაუვლიდით თეთრშუბლას, შეჩერდებოდა, ყურებს დაცქვეტდა, თუ არა და ძოვას განაგრძობდა.

ჯიხვებს ფარად სჩვევიათ სიარული. სიცხეში მიუვალ კლდეებში მიდიან, საღამოობით კი ტყეში წყლის დასალევად ჩამოდიან. ნაკრძალში გოგირდის წყარო მოჩხრიალებს. ეს წყალი ძალიან უყვართ ჯიხვებს და თითქმის მთელ დამეს ამ წყაროსთან ატარებენ. მათ ჯოგს გუშაგი ჰყავს. როდესაც ისინი ჩრდილში წვანან და ბუერას მსუქე ფოთლებს შეექცევიან, ეს გუშაგი სულ ფეხზე დგას, ყოველ მხარეს უჭირავს თვალი; თუ

საფრთხეს შენიშნავს, მაშინვე მოკლედ ხმამაღლა დაუსტვენს. ჯიხვები წამოიშლებიან და საითაც გუშაგი გაიქცევა, ეველა იქით გარბის.

გაზაფხულის ერთ საღამოს, როდესაც ტუეში ფრინველთა ჭიკჭიკი მიწყდა, ჯიხვები მწვანე ფერდობზე გაშლილიყვნენ და ბალახს სძოვდნენ. ჯოგს გუშაგად სწორედ ის თეთრშუბლა ჯიხვი ედგა. შორიახლო ვიდექი და ეტბებიდი ამ ცხოველების სილამაზით; დროდადრო მაღლა ასწევდნენ რქებით შემკულ თავს და სულგანაბულნი გასცქეროდნენ სივრცეს, თითქოს რაღაცას უსმენენო.

უცებ შევნიშნე — ჯიხვების ჯოგს დათვი ეპარებოდა. ის მომეჯდარუნებული იწვა მიწაზე, მაგრამ დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე და ფრთხილად მიხოხავდა თეთრშუბლასაკენ.

გუშაგმა თითქოს რაღაც იგრძნო, მაშინვე დაუსტვინა, მაგრამ არ გაქცეულა. ჯიხვებიც სმენად გადაიქცნენ და დადარაჯდნენ. დათვმა უმალ თვალი დახუჭა და გაინაბა. მათ ისევ განაგრძეს ძოვა.

ცბიერები არიან დათვები. ჯიხვებს მიეპარებიან, ბილიკზე ჩაუსაფრდებიან და ერთ-ერთ ჯიხვს კლდეზე გადასჩეხენ. მერე თვითონაც ბურთივით მოიკუნტებიან, ხეში ჩაგორდებიან და არხეინად მიირთმევენ ცოცხალ-მკვდარ ცხოველს.

ნათლად ჩანდა, რომ დათვი თავის საწადელს აისრულებდა და თეთრშუბლას კლდეზე გადასჩეხდა.

არა, არ გაგივა ეგ ფანდები! — გავიფიქრე. თოფი მოვიმარჯვე და მხოლოდ ერთხელ ვისროლე ჰაერში. თუმცა ესეც დიდი დანაშაული იყო, რადგან ნაკრძალში თოფის გასროლა აკრძალულია.

მთებში თოფის ხმამ ჭექა-ქუხილივით დაიარა.

ჯიხვები მაშინვე აიშალნენ და გაიქცნენ. თეთრშუბლა გადარჩა! ვეებერთელა დათვი კი გაწბილებული უკანვე მიეშურებოდა.

ე. ჩარუშინი

ნახატი ბ. რეინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატა და თევზები

გაზაფხულზე საბავშვო ბაღში ბავშვებს სხვადასხვანაირი თევზები აჩუქეს: მოწითალო ოქროს თევზები, ვერცხლის პატარა თევზები და ერთიც ჩვეულებრივი გოჯა თევზი. ჰო, კიდევ ერთი შუშის ქილა აჩუქეს, წყალმცენარით.

ბავშვებმა ონკანზე ქვიშა გარეცხეს, ქილა გაასუფთავეს, შიგ ქვიშა ჩაყარეს და წყალმცენარე ჩაარჭვეს. შემდეგ ქილაში წყალი ჩაასხეს და თევზები შიგ ჩაუშვეს; თევზებმა ცურვა დაიწყეს. ბავშვებმა თევზებს ქილაში ცოცხალი მატლი ჩაუგდეს, გოჯა თევზმა მატლი სწრაფად გადაყლაპა. მეორედ გადაუგდეს — გოჯა თევზმა მეორეც შეჭამა. მაშინ წყალში მესამე მსუქანი მატლი ჩაუშვეს, გოჯა თევზმა ის მატლიც დაიჭირა, მაგრამ ვერ მოერია, მატლი პირზე დაეკიდა...

ეს რომ ოქროს თევზმა დაინახა, გოჯა თევზთან მიცურდა, მატლი თავისაკენ გასწია, ბოლოს წაართვა და გადასანსლა.

სად იყო, სად არა, სამზარეულოდან მსუქანი კატა გამოვიდა და სწორედ იმ მაგიდაზე შეხტა, სადაც თევზებით სავსე შუშის ქილა იდგა. გვერდით მოუჯდა ქილას და თევზებს გაფაციცებით შესცქეროდა, თუ როგორ ყლაპავდნენ თევზები მატლს და როგორ ცურაობდნენ წყალმცენარის ირგვლივ.

ბიჭუნა სიკომ კატას შეხედა და თქვა:

— შეხედეთ! შეხედეთ! კატა თევზებს როგორ დაშტერდა, თვალებს რარიგად აცეცებს! ბავშვებო, კატა უნდა მოვაშოროთ აქაურობას, თორემ თევზებს შეგვიჭამს!

— არა, ვერ გაბედავს! — თქვა გოგონა თიკომ, — ქილიდან ხომ ვერ მოიტაცებს?

ბავშვებს სასაუზმოდ დაუძახეს. თევზებით სავსე ქილასთან მხოლოდ კატა დარჩა.

საუზმის შემდეგ ბავშვები კვლავ თევზებს დაუბრუნდნენ. ბიჭოს! ეს რა ამბავია? კატა არხეინად ზის. ქილა ქვიშითა და წყლით ისევ ისე დგას. თევზები? თევზები კი არ არიან!..

ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ კატას ერთი თათი სველი ჰქონდა. ფუომე კატას თევზები ქილიდან კლანჭებით ამოუთრევია და შეუჭამია: ოქროს თევზებიც, ვერცხლის თევზებიც და ჩვეულებრივი გოჯა თევზიც.

თარგმანი თ. სულაქველიძისა

ზარმაცა

აკ. ჭკადუა

ზ ღ ა პ ა რ ი

ნახატები გ. თოთიბაძისა

ზარმაცა ყანის განაპირას, წიფლის ქვეშ იწვა და ცას გასცქეროდა. იმ დილით ცოლმა რის ვაი-ვაგლახით დაითანხმა სიმინდის სათოხნად წაჰყოლოდა. თოხნაზე მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებია ზარმაცას,—ცოტა მოჩიჩქნა მიწა, მერე მიანება თავი და ჩრდილში წამოწვა, თოხი თავქვეშ ამოიდო და მოჰყვა იმაზე ფიქრს, თუ როგორ არის აგებული ცა და დედამიწა.

უეცრად ცაში გვრიტი გამოჩნდა, უკან მიმინო მოსდევდა. როცა წიფელს გაუსწორდნენ, ზარმაცამ ძალ-ღონე მოიკრიბა, თოხს დასტაცა ხელი და მიმინოს ესროლა. იღბალზე თოხი მტაცებელს მოხვდა და ჩამოაგდო.

ზარმაცამ მიმინო ბალახში გადაისროლა, თოხი ისევ ბალიშივით ამოიდო და ოცნება განაგრძო, გვრიტი კი სულ გადაავიწყდა.

უცბად წიფლის ტოტებიდან ღუღუნი ჩამოესმა:

— კეთილო ადამიანო, შენ ხომ სიკვდილს გადამარჩინე. ამ სიკეთეს სიკეთით გადაგიხდი. სამი სურვილი შეგისრულდება, რაც გინდა ინატრე.

ზარმაცა პირველად ხედავდა მოლაპარაკე გვრიტს, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ადრეც ენახოს და გვრიტს ასე უთხრა:

— რაკი უმადური არა ყოფილხარ და ასე გულკეთილობას იჩენ, ცოტაც

ეროვნული ბიბლიოთეკა
6892

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაცადე, ხვალამდე მოვიფიქრებ და გეტყვი.

— მენი ნებაა,—მიუგო გვრიტმა,— მაგრამ მე ცხრა მთას იქით მშიერი ბარტყები მელოდებიან, უნდა გავფრინდე. თუ გინდა, მთელ თვესაც იფიქრე და მერე ინატრე. სურვილი უჩემოდაც აგისრულდება.

თქვა და გაფრინდა.

ზარმაცას თავსატეხი საქმე გაუჩნდა,— რა უნდა ვინატროო? თან ბუზებს ხელით იგერიებდა, რადგანაც ტოტის მოტეხა ეზარებოდა.

— რა ვინატრო? ოჰ, ეს წყეული ბუზები! ოქრო-ვერცხლი? მერე, რა დათვლის იმდენ ფულს. სასახლის აშენებაც დამჭირდება, უჰ, რა მაღალი კიბეები ექნება! მე კი იმოდენა კიბეზე ასვლა-ჩამოსვლით დავიღლები. არა, არ მინდა სიმდიდრე! მეფობა ვინატრო? მაშინ დილაობით ადრე უნდა ავდგე, მთხოვნელები მივიღო, ლაშქარს გავუძღვე... სადა მაქვს ამდენი დავიდარაბის თავი! ოჰ, მომკლეს ამ ბუზებმა, დაიწყებ დიდ საქმეზე ფიქრს თუ არა, გკბენენ, თავს გეხვევიან, ერთი სიტყვით არაფერს დაგაცლიან! ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ქვეყნად ბუზები არ ყოფილიყო! მოდი, ერთი ნატვრა ეს იყოს! გვრიტო, გაწყვიტე ბუზების სინსილა! ეს არის ჩემი სურვილი!

და რა გგონიათ? ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარც ერთი ბუზი აღარ ჭაჭანებდა. თავის სიცოცხლეში პირველად დაეძინა ზარმაცას მოსვენებით და ისეთი სიზმრები ნახა, რომ ყველა მათგანი თითო სამეფოდ ღირდა.

როცა გაიღვიძა, ძლიერ მოშივნოდა. ცოლი ყანაში აღარ ჩანდა, ზარმაცაზე გაჯავრებული შინ წასულიყო.

— ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა ერთი ქოთანი ლობიო, ცხელი მჭადი და დოქი ღვინო მქონოდა!—წამოიძახა ზარმაცამ.

ამის თქმა და ნატვრის შესრულება ერთი იყო: ზედ მის ცხვირწინ მიწაზე დაიდგა დიდი ქოთანი სურნელოვანი ლობიოთი, საუცხოო მწვანილით შეკმაზული, ცხელი მჭადი და ხელადა ღვინო. ზარმაცას საჭმელად ხელის განძრევა სრულებით არ დაზარებია. ნასადილევს ისევ გაიშლართა მოლზე და ხვრინვა ამოუშვა. როცა გამოეღვიძა, მზე უკვე ჩასულიყო. ცოტა არ იყოს, შეეშინდა: ვაითუ სადმე დევი გამოჩნდესო! ძლიერ უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ წამოდგომა დაეზარა. ხის ქვეშ ღამის გათევა კი არც

ისე ადვილი საქმე იყო მისთვის. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს წამოიძახა:

— ერთი ნატვრა ხომ კიდევ დამრჩა! გვრიტო, შენს ლხენას, ერთი შინ მიმიყვანე და სხვა სანატრელი არაფერი მაქვს! ახლა ცოლი ალბათ ვახშამს ამზადებს და კერასთან ისე თბილა, როგორც საბანში! რა ჯობია ჩემ ჭერქვეშ ყოფნას!

ვერც კი მოასწრო ამის თქმა, რომ თავის თოხიანად უკვე შინ გაჩნდა და მაშინვე ცოლს მიაძახა:

— შენ გეგონა, რომ მე უშენოდ შითა და შიმშილით დავიღუპებოდი? შიშსაც გადავრჩი და შიმშილსაც! შენ ჯავრი ნუ გაქვს, მე ჩემი ჭკუა არსად დამღუპავს!

იმ სამ ნატვრაზე კი კრინტიც არ დაუძრავს, რადგან თავის სიზარმაცეს გაამჟღავნებდა.

ჰოდა, ცხოვრობდნენ ისევ ღარიბად. ზარმაცა იმ დღიდან პირდაღებული სულ ჰაერში იყურებოდა, იქნებ გვრიტი კიდევ გამოჩნდესო, მაგრამ იგი დღესაც არა ჩანს!

დ. ძეძამიძე

ნახატი გ. როინიშვილისა

ენძელები

ამოცანა



დღე იზრდება, მზესაც სითბო
ემატება ნელ-ნელა;
თოვლი დნება, გორაკებზე
ჰყვავის ტურფა ენძელა.
მას ბავშვები დაეძებენ,
დასაკრეფად მორბიან;
დამ იპოვა სამი ღერი,
ორით მეტი — გოგიამ.
ერთიც სიკომ, რადგან სიკოს
ბევრი არ ურბენია;
მოკრეფილი ენძელები,
მითხარ, სულ რამდენია?!

6·80/22

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქიქინაძე

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

ძლიერ მალე მოგვითოვს,
ბებო წინდებს მომიქსოვს.
ქუდსაც თბილს შემიკერავს,
რომ გამითბეს ყურები:
საციგაოდ გორაზე
მარდად გავეშურები.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეცხრე წელი ფასი 2 მან.

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 2, февраль 1956 г. Тбилиси. Ленина 14.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 8-37-38. გამომც. შეკვ. № 615 სტამბის შეკვ. № 1563|80 ტირაჟი 15.000. უე 00506 ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-56 წ. ტექსტი აწყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, მარჯანიშვილის 5.